


GEORGIAN LITERATURE IN ENGLISH TRANSLATIONS

ქართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში



ჟურნალ „ქართველოლოგის“ წინამდებარე ნომრის რუბრიკაში „ქართული ლიტერატურა ინგლისურ თარგმანებში“ ქვეყნდება ცნობილი ქართველი კრიტიკოსის ზაზა აბზიანიძის რამდენიმე საბავშვო ლექსი, ინგლისური

პარალელური თარგმანითურთ. ჩვენი არჩევანი ორიოდე გარემოებამ განაპირობა:

ქართულ ლიტერატურულ წრეებში უკანესკნელ ათწლეულში ზაზა აბზიანიძე პოპულარული გახდა, როგორც საბავშვო მწერალიც. ვფიქრობთ, აქ გამოქვეყნებული რამდენიმე ლექსი თანამედროვე ქართული ენის დახვეწილი სალიტერატურო სტილით და ლექსიკით, პარალელური ინგლისური თარგმანითურთ, ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელთათვის საინტერესო და სასარგებლო იქნება. ისინი ავტორისეული ილუსტრაციებით გადმობეჭდილია მისივე წიგნიდან „ბუსუნსულები“, რომელიც 2009 წელს გამოსცა გამომცემლობა „პეგასმა“.

ინგლისური თარგმანი „ჟურნალში“ წრამოდგენილი ლექსებისა შესრულებულია თანამედროვე ამერიკელი პოეტის ლინ კოფინის მიერ, რომელიც თანამედროვე ქართველ პოეტთა თხზულებების მთარგმნელიცაა. ახლახან მის მიერ შესრულებული *ვეფხისტყაოსნის* ახალი პოეტური თარგმანიც გამოქვეყნდა. თანამედროვე ინგლისური ლექსის მხატვრული სპეციფიკით დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის ქართული ორიგინალის პარალელურად ამ თარგმანზე დაკვირვება, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება. გამოქვეყნებული თარგმანი გადმობეჭდილია ამერიკის შეერთებულ შტატებში 2014 წელს გამოცემული წიგნიდან: Zaza Abzianidze, *Animalarky*. Translated by Lyn Coffin.

წინამდებარე პუბლიკაცია შეთანხმებულია ავტორთან.

რედაქტორი


In the present edition of the journal “The Kartvelologist” several children’s rhymes by a famous Georgian literary critic Zaza Abzianidze are published with their parallel translations. Our choice was determined by two factors:

In the past decade Zaza Abzianidze has also become popular as a children's author. We hope that foreign readers interested in learning modern Georgian will find several poems published here interesting and useful from the point of view of their refined literary style, lexis and parallel English translations. The poems and illustrations are taken from the author's book "Busunsulebi", published in 2009, by the Publishing House 'Pegasi'.

The poems are translated into English by the modern American poet Lyn Coffin, who has also translated other works by Georgian poets, for example *The Man in the Panther Skin* has been released. It will be interesting for Georgian readers interested in the literary features of modern English poetry to observe the translation compared to the original version.

The translations are published from the book *Zaza Abzianidze, Animalarky*, translated by Lyn Coffin. The publication is agreed with the author.

The Editor



ბუსუნსულები

Animalarky

(Translated by Lyn Coffin)

* * *

მასლაათობს ორი ვირი,
გულწრფელი და პირდაპირი.
თქვა დიდყურამ:

- რომ იცოდე,

მე ისეთი ვირი ვარო,
გულში რამეს თუ გავივლებ,
იმავ წუთში ვყვირივარო.
მეორემ თქვა:

- შენზე უფრო გავაკვირვე
სავირეთი,

რადგან სათქმელს ჯერ
ვყვიროდი,
მერე გულში გავივლებდი

* * *

დაიბადა სპილო -
ას თხუთმეტი კილო.
დედამისი დარდობს:
გამხდარი ხარ, შვილო!

* * *

ბუმ დამოდღვრა თუთიყუში:
პაკო, დაიმოკლე ენა!
ისეთია შენზე წყენა,
რომ არა გაქვს
წარმოდგენა.
კუ, არწივი,
ზებრა, გველი,
შენს ერთ
გამოფრენას ელის.

* * *

Here two Donkeys try debating
One hold forth, the other's
waiting.

Says the one more deeply gray:
"I'm Donk-Quicksote, you
might say.

First to feel, and first to bray."
Said the other louder, stronger.

"Donkey, you could not be
wronger.

I bray first and best and
longer."

* * *

An elephant was born today
How many kilos does he weigh?
At "120" he weigh in
Sorrowful mom says, "You're so
thin!"

* * *

Worried Owl, who started
teaching
Corrects a Parrot's over-
reaching
"Poll, you should curb your
tongue,
Or you'll end up in the dung.
Since these days you can fly off,
Better not to mock and scoff.

სხვა გზა
აღარა გაქვს პაკო, -
უნდა სუყველანი აქო!

* * *

დათვს ბელისთვის
ბევრჯერ უთქვამს:
„ - დანებე თავი ფუტკარს,
ფულუროში თავს თუ შეყოფ,
მაგ ცხვირს
მწარედ დაგიტუთქავს.“
ესე ამბავია ძველი:
არ უჯერებს რჩევას ბელი,
ახლა თვალეზი აქვს სველი,
დედის დახმარებას ელის.

* * *

ღამეა და ისე ბნელა,
ტყეში არაფერი არ ჩანს.
სადღაც დათარეშობს მელა,
კურდღელს აუჩქარდა მაჯა.
ვიღაც წივის,
ვიღაც ღნავის,
ჭოტი აკვარკვალებს
თვალეზს,
გამწარებით ჩხავის ყვავი ...
ინათებდეს, ნეტავ, მალე ...

* * *

რაა წიგნი?
ყდა და შიგნით -
ტექსტი, ლექსი, ნახატი;
სიხალისე, სიყვარული -
გადამდები სახადი;
ჩვენი ეზოს,
ტყის და ველის

Praise to snakes and eagles give
Praise the zebras – You might
live!”

* * *

Many times the big Brown Bear
Informed his Cub – “You’d best
beware.
Stick your nose in hollow tree,
Sorrow comes eventually.
“Live let live’ includes the bees
–
Even those who live in trees.”
But Cub, was curious, not wise
–
Now he runs to mom and cries.

* * *

In the woods,
the dark night falls.
Owl begins his
ghostly calls.
Was that the Fox
why just ran past?
Rabbit’s heart
is beating fast.
Crow was wailing,
something sobbed –
Something howled like
something robbed.
Above the night shines thin the
Moon
May the day break cover soon!

* * *

Don’t ask me: What is a book?
Part the covers – take a look.

ამბები და დრამები;
წამოზრდილი შვილები და
ჯერაც ბავშვი მამები.
რაა წიგნი?
ყდა და შიგნით -
რამდენიმე ნახატი.
გეთხოვებით,
მიმთავრდება
მელანიც და ქაღალდიც.
აბა, კარგად,
მომავალი ნახატების
ნახვამდის.

Here a rhyme and there a
drawing.
Snakes a-slither, Crows a-
cawing.
Tales of fascinating creatures,
Charming and alarming
features.
Grownups, kids, both sweet and
snarky
Bray and say – Animalarky!

How'd I write this book of
mine?
Willy-nilly, line by line.
Ink like ceiling paint will dry,
Till we meet again – Goodbye!

